საქართველოს მთავრობის

დადგენილება №89

2024 წლის 19 მარტი

ქ. თბილისი

„სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/10/2018, 300160070.10.003.020792) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დანართი VI ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 26 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

„დანართი VI

სამშენებლო პროდუქტების ნუსხა

№	სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება
		ცემენტი
პორტლანდცემენტი, ცემენტი თიხამიწოვანი, ცემენტი წიდისა, ცემენტი სუპერსულფატიანი და ანალოგიური ჰიდრავლიკური ცემენტი, შეღებილი ან შეუღებავი, მზა ან კლინკერების ფორმით:		
1	25232900000	— — დანარჩენი
		პლასტმასის მილები
პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები):		
2	39172110000	— — — უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
3	39172190009	— — — — დანარჩენი
4	39172210000	— — — უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
5	39172290009	— — — — დანარჩენი
6	39172310000	— — — უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
7	39172390009	— — — — დანარჩენი
8	39172900009	– – – დანარჩენი

9	39173100009	– – – დანარჩენი
10	39173200000	– – დანარჩენი, დაუარმატურებელი ან სხვა მასალებთან არაკომბინირებული, უფიტინგებოდ
11	39173300009	– – – დანარჩენი
12	39173900009	– – – დანარჩენი
13	39174000009	– – დანარჩენი
		არმატურა
		წნელები რკინის ან არალეგირებული ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე, ჭედვის, ცხლად გლინვის, ცხლად ადიდვის ან ცხელი ექსტრუდირების გარდა, გლინვის შემდეგ გაღუნული წნელების ჩათვლით, დანარჩენი:
14	7214	წნელები რკინის ან არალეგირებული ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე, ჭედვის, ცხლად გლინვის, ცხლად ადიდვის ან ცხელი ექსტრუდირების გარდა, გლინვის შემდეგ გაღუნული წნელების ჩათვლით, დანარჩენი:
		ელექტროკაბელები
		სადენები იზოლირებული (ემალირებულის ან ანოდირებულის ჩათვლით), კაბელები (კოაქსიალურის ჩათვლით) და დანარჩენი იზოლირებული ელექტრული გამტარები, შემაერთებელი სამარჯვებით ან მათ გარეშე; ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელები, შემდგარი ინდივიდუალურგარსიანი ბოჭკოებისაგან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აწყობილი ელექტრულ გამტარებთან ან შემაერთებელ სამარჯვებთან:
15	85444991000	– – – – სადენები და კაბელები 0,51 მმ-ზე მეტი დიამეტრის იზოლირებელი გამტარებით
16	85444993000	– – – – – ძაბვაზე არაუმეტეს 80 ვ-ისა
17	85444995000	– – – – – ძაბვაზე არაუმეტეს 80 ვ-ზე მეტი, მაგრამ 1000 ვ-ზე ნაკლები
18	85444999000	– – – – – ძაბვაზე 1000 ვ
19	85446010000	— — სპილენძის გამტარებით
20	85446090000	— — დანარჩენი გამტარებით
		თაბაშირ-მუყაო
		ნაწარმი თაბაშირისა ან მის ფუძეზე დამზადებული ნარევებისაგან:
21	6809 11 000 00	– – დაფარული ან დაარმატურებული მხოლოდ ქაღალდით ან მუყაოთი.“.